საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კონქის ციხე

კონქის ციხე, ქართული ხურომოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ კოლას (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში) ცენტრში, ამავე სახელწოდების სოფლის (ამჟამინდელი ქუზუფინარი) დას-ით, მთაზე. ციხე საშ. ზომის მეგალითური ნაგებობაა. სავარაუდოდ, აგებულია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. ციხეს ეტყობა გვიანდ. გადაკეთების კვალი. როგორც შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, იგი მოგვიანებით გაუფართოებიათ. დიდი ალბათობით ქართველები მას XVI ს. შუა ხანებამდე იყენებდნენ. ციხის თავდაპირველი ნაწილის გეგმა სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული ოთკუთხედის ფორმისაა (სიგრძე 22,5 მ, სიგანე 14 მ), რ-იც განივი ყრუ კედლით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა და ორივეს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს: ჩრდ-ით მდებარეს – აღმ-იდან, სამხრ-ით მდებარეს კი – სამხრ-იდან. გარედან ციხის ოთხივე კუთხეში გამოყვანილია მომრგვალებული, ზემოთკენ თანდათან შევიწროებული ყრუ შვერილი. მსგავსი მოყვანილობის შვერილი ციხის დას. კედლის შუაშია. ციხე ნაგებია ლოდებით – დუღაბის გარეშე. ზოგიერთი კედლის სისქე 2,5 მ-ია, ზოგის – 4 მ აღწევს. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 3 მ არ აღემატება.

ლიტ.: თ ა ვ ა ძ ე ლ., კონქის ციხე. – კრ.: ტაო-კლარჯეთის ციხესიმაგრეები, ტ. 1, თბ., 2020; თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.

თ. დვალი